ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-3 ტელეფონი № 76. კვირა, 29 იანვარი, 1917 წ. 6

სამშობლო

ფასი 7 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მანეთი, თვიურათ 1 მანეთი და 50 კაპეიკი. ცალკე ნომერი 7 კაპეი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 5 მ. მარტის გასულს 5 მ. და 5 მ. 1 ივლ.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ., უკანასკნელზე 15 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითო ჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათამდის ღირს 5 მანეთი.
2 საათის შემდეგ 6 მანეთი

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. კნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 539 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 539

მიიღება ხელის მოწერა ჩვენს გაზეთზე 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 მ. 50 კაპ., **ცალკე ნომერი** 7 კ.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი კნ. ს. მ. მიქელაძისა.
დეპეშისათვის ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი—ი. თ. ცანცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“**.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ორშაბათს, 30 იანვარს შესრულდება ახალი პროგრამა
სასძლო ავიატორისა დრამა ორ ნაწილად.
რინო დალაქი-ქალი სტუმრად კომიკური.
ანონსი: 2 თებერვლიდან 1917 წ.
საუცხოვო რამ! საუცხოვო რამ!
ქრონიკა გომონის, მიმდინარე ამბები.
ხაზხაზის მოყვარული ქალი დრამა 5 მოქ. გადმოკეთებულია ვ. სარდუს რომანიდან. გრაფინიას როლს შეასრულებს კეკლუცი **ფრანჩესკო ბერტინი**. ამ სურათმა ყველგან ალტაცება გამოიწვია. **ქალების ტიური** კომიკური.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ორშაბათს, 30 იანვარს შესრულებული იქნება ახალი პროგრამა
ქრონიკა გომონის, მიმდინარე ამბები.
ერთი კუთხე. ნოკედიურნა შეთხზული ამავე სახელის რომანსით გამოწვეულ გრძნობათაგან, ერთ ნაწილად. შეასრულებს სამხატვრო თეატრის მსახიობი ქალი
მ. ნ. ჩერმანოვისა.
ძალიად დაქორწინებულნი მშვენიერი კომედია 4 ნაწილად, მონაწილეობს ცნობილი მსახიობი ქალი თან-ვისა. რეჟისსურა ურალსკისა.

ქუთაისის მიხეილის სააზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ხსენებული ბანკის მესესხებელთა კრებანი ბანკის რწმუნებულთა ასარჩევათ, თანახმათ წესდების § 80, დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის სადგომში: პირველ წყების ამრჩევლებისათვის—25, მეორისა—26 და მესამისა—28 თებერვალს 1917 წლისა, დილის 10 საათზე, ხსენებული ამრჩეველთა კრებანი, თანახმათ წესდების § 84 შენიშვნისა, კანონიერათ ჩაითვლებიან მიუხედავათ კრებაზე გამოცხადებულ პირთა რიცხვისა.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა კურსები ც. მ. ფილოიანისა.
ორივე სქესისთვის
(თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
თხოვნის მიღება: 4—5 საათ. სალამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

სახალხო წარმოდგენა
ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი
ქალაქის თეატრი წარმ. № 42.
კვირა, 29 იანვარი 1917 წ.
ვ. შალიკაშვილი
გადაქრილი მუხა
4 მოქმედებათ.
მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ. ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.
რეჟისორი ალ. იმედაშვილი რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი
მორიგე წევრნი გამგეობისა მ. მდივანი და გ. ლადიძე.
დასაწყისი სალამოს 8 საათზე ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოებისა.

განცხადება.

ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი
აუწყებს ხსენებულ საზოგადოების ბ. ბ. წევრთ, რომ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია ამა წლის 29 იანვარს, დილის 10 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. იმ შემთხვევაში თუ ეს კრება არ შესდგა, წესდების მე-35 მუხლის თანახმად მეორე კრება მოხდება მიმდინარე წლის 12 თებერვალს.
განსახილველია: 1, საკითხები საზოგადოების გახსნასთან დაკავშირებული; 2, მიმდინარე 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3, მოსამსახურე პირთა არჩევა.
ახალი წევრთა მიღება გრძელდება. 4—3

ექიმები:

დ. ა. ნაზაროვი ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ზ. ი. ბოკიელი ელექტრობისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვიული და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის ტუბერკულეზიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წულუკიძისეული)

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული
ბებია **ს. ს. ნემსაძისა** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გვველაშვილის სახლი, ფოსტის მახლობლათ.

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. თ

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საეპარქიო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. №35, მიქელაძის სახლში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლოს“ ს რედაქციის ზევით, მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელია ტელეფონი № 183 თ.

ს-მ. ბ. მიწის მზომელი
ვ. ს. ასათიანი. ადგენს მამულების პლანებს აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ.მ.“ და „სამ.“ რედაქცია; ან პროვიზორ კაზიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ, ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. თ.

პეტრე-პავლეს საყდრიდან თეთრ ხიდამდე

დავკარგე

სალდათათ მსახურობის ბილეთი
მასთან მოწმობაც ვადის გადადებისა. მპოვნელს ვსთხოვ გადმომცეს ქუთაისში ორპირის ქუჩა, მათე კოსტავას დუქანში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.
ნესტორ ბეკოსძე გეორხელიძე
3—2

პური არსებისა!

შიმშილი გვიახლოვდება. გაჭირვება მატულობს. უცხოეთიდან ვერ გვაწვდენენ სანოვაგეს და შინ მომწევი კი აღარავინ რჩება. მუშა ხელი აქამდისაც არ იყო და 18 წლიანების გაწვევის შემდეგ უკანასკნელი იმედი მიწის დამუშავებისა თითქმის ისპობა.

საზოგადოებაში ყოველი მხრიდან და წრიდან ისმის არა მარტო ღაღადისი ცხოვრების გაძვირებაზე—ამას უკვე შევეჩვიეთ!—არამედ მოსალოდნელ საშინელებაზე.

რედაქციაში ამას წინათ შემოვიდა ცნობილი კომერსანტი და განაცხადა, ოღონდ სათანადო საზოგადოება შესდგეს მომავალ ქარ-ტეხილთან საბრძოლველათ და 10,000 მანეთამდის შევსწირავო.

გუშინ ჩვენ დავსტამბეთ სამღვდელოებისადმი მოწოდება ერთი მღვდლისა; სოფლის პატივცემული მოძღვარი იწვევს ქრისტესადმი თანამოსამსახურეთ, კრებები დავნიშნოთ და კრებებზე შევიმუშაოთ ზომები ხალხის გასაჭირისგან დასახსნელათო.

მართლაც, მდგომარეობა დღითი დღე რთულდება.

მომავალი ბევრათ უფრო სასაშიშრო ღრუბლებითაა მოცული, ვიდრე იყო.

არაჩვეულებრივი ზომების მიღებაა საჭირო, საჭიროა გამოვიყენოთ ყოველი ძალა, ვისაც და როგორც კი უნდა იყოს, ოღონდ კი ხიფათი ავიცდინოთ, მიზანს მივაღწიოთ.

საჭიროა დაუყონებლივ შეიკრიბონ ჯერ ცალ-ცალკე და მერმე ერთად თავადაზნაურთა, მოქალაქეთა, მასწავლებელთა და მღვდელთა ორგანიზაციები, რომ შექმნან ისეთი დაწესებულებანი და ისეთი საშვალებანი გამონახონ, რომელნიც ყოველ ძალას იღონებენ ყოველ ხერხს იხმარებენ, ამ ცეცხლისა და ცრემლის წვიმების დროს ერის **ხორციელად** მაინც გადარჩენისათვის.

დღეს ერთი საგანია სავალალო: პური არსებისა სამყოფად ექმნეს ერს.

დაყოვნება ცოდვაა.

ეხლაც დაგვიანებულია.

ვიმეორებთ ერთია სანუკვარი:

პური არსებისა.

რაიმე სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობა, ფიქრი, მტერმა და მოწინააღმდეგემ ზნეობრივი ძალა არ მოიპოვისო, ან და საქმის ერთგვარმა მოწყობამ კლასიური, პარტიული და პოლიტიკური შეგნება არ შეასცვალოსო, მიუტევებელ ბოროტ-მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს. როცა სახლი იწვის, პასპორტებისა და მრწამსის გასინჯვის დრო არ არის.

ცეცხლი კი, საშინელი ცეცხლი, რომლის მსგავსი მხოლოდ ამ ასიოდე წლის წინათ ჩვენს ქვეყანას ეწვია და შიმშილითა და ჟამით მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრა ნელ-ნელა, გველეშაპის სიდინჯით გვიახლოვდება.

საქართველოს შერყეულ ნავს მხოლოდ ერის დროზედ შეერთებული ძალა იხსნის.

ნ. ლორთქიფანიძე.

32

თურქები და ქართველი მაჰმადიანები

თურქულ და ქართულ გაზეთებში ატეხილ კამათის შესახებ **ბ. ძველმა ქართველმა** „საქართველოს“ 321 ნუმერში დასტამბა საყურადღებო წერილი, რომელიც მოგვყავს შემოკლებით.

ძიება, რკვევა და კამათი ადამიანისა და საზოგადოების სიცოცხლის ნიშანდობლივი თვისებებია. სრულებით გასაკვირი არაა, სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ ქართველებსა და კავკასიის თურქებს შორის კამათი რომ ჩამოვარდა. ამ მსოფლიო ომმა ქართველში წარმოშვა და გაამკვეთრა მთლიან საქართველოს აღდგენის იდეა და სამაჰმადიანო საქართველოც მთელ შეგნებული ქართველობის ყურადღების ცენტრად გახადა. პრესა, საჯარო ლექციები თუ კერძო დაწესებულებანი, ყველა, რითაც შეუძლიან, თავს დასტრიალებს საქართველოს იმ ნაწილს და რაც აქამდის მოვლა-პატრონობა დაუკლია, ცდილობს ეხლა ერთბაშად მიავოს მას. ვის არ ესმის, რომ შეუძლებელია საქართველომ ნახოს თავის დაკარგული დიდების პიროვნება და მთელს კავკასიაში წინანდებრ თვისი საშვენი ადგილი დაიჭიროს, თუ შუაზედ გაჭრილი მისი ტანი არ გამთელდა! საქართველოს მომავალი წარმოუდგენელია, თუ სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო ერთმანეთს არ შეეხორცა და განუკვეთელად არ ჩაება ეროვნულ სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში. მერე რა უმანკოა ქართველების ეს მიზან მისწრაფება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს გამთელების იდეას ახალი მომენტი შექმნდა იმ დამოკიდებულებაში, რომელიც, სარწმუნოებრივის ერთნაირობის წყალობით, გაება ორს ეთნიურ-ეროვნულად და კულტურულ-ისტორიულად სრულიად სხვა და სხვა ერთეულ შორის:

მაჰმადიან ქართველობასა და კავკასიის მაჰადიან თათრობას შორის ამ ქართულმა იდეამ და მასთან შეხამებულმა პრაქტიკულმა საქმიანობამ ოდნავ შეარხია აღნიშნულის დამოკიდებულების ვითარება, მისი status quo. თუმცა ეს იდეა და ეს პრაქტიკული საქმიანობა სარწმუნოებრივ სფეროს სრულებით არ გაჰკარებია, მაგრამ, რადგან ერთიცა და მეორეც თათრებისა და მაჰმადიან ქართველების დამოკიდებულებას შეეხო, ხოლო ეს დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ რჯულით იყო განმტკიცებული, — ამიტომაც ადვილი შესაძლებელი იყო რომ გაუფრთხილებელ გონებას და არა ზედმიწევნით ლოიალურ გრძნობას ქართულ იდეასა და ქართულ საქმეში მაჰმადის რჯულის შეწუხებული სახე მოელანდებოდა და ამრეზილიყო.

ერთის მხრით საქრისტიანო საქართველოსა და ნამაჰმადიანო საქართველოს შორის ეროვნული დაახლოვება აჩქარებულის ტემპით დაიწყო, მათს შორის ახალი ურთიერთობა მყარდებოდა. მეორე მხრით, როგორც ამ მოვლენის ერთნაირი შედეგი, კავკასიის თათრებისა და მაჰმადიან ქართველებ შორის ძველი არსებული დამოკიდებულება იცვლებოდა. ამათი დამოკიდებულებათა შეფასებისა და გარდაქმნის პროცესში, ცხადია, ბევრი ძველი შეხედულება თავის აქტიურ ღირებულებას დაჰკარგავდა და სამუდამოდ დაიმარხებოდა, ეს კი საზოგადოებაში ურეაქციოდ და უმტკივნეულოდ არა ხდება, რაც გინდ დრომოჭმული და უაზრო იყოს ეს დიდი ხნით განმტკიცებული შეხედულება.

ამ მხრივ ქართულ და თათრულ პრესის ერთმანეთთან შეკამათება დაგვიანებულიც არი.

ლოიალობა და განმსჯელობა პირველი და აუცილებელი პირობაა ასეთ საკითხის მართებულ გადაჭრაში.

ჩვენთან მოკამათე „აჩიკ-სოზმა" ამ ორივე სათნოებას უღალატა.

მთელმა ქართულმა პრესამ, მიმართულების განურჩევლად, ეს მესამე წელიწადია მაჰმადიან ქართველების სარწმუნოების უზენაეს ხელშეუხებლობის და მოვლა-დაცვისთვის სწერს და ზრუნავს; მთელი შეგნებული ქართველობა ამ საკითხში ქართულ პრესას მიჰყვა და თვის პრაქტიკულ საქმიანობაში ამ პრინციპებს ანხორციელებს. ქართველების პრინციპული შეხედულება თქმათი მორალური ნორმები სარწმუნოების და ეროვნების საკითხში [illegible] ამჟღავნებენ და [illegible] შენიშვნისა და სიყვარულის გარეშე სდგანან, ეს კარგად უწყის „აჩიკ-სოზმა". მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის სთქვას, თუ ჩვენ, თათრები, არ მივედით აჭარლებთან და სკოლა არ გაუხსენით, „ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო!!" გაზეთი პათეტიურად მოუწოდებს კავკასიის თათრობას და გაიძახის: „ნება არ მისცეთ, რომ ქართველი მაჰმადიანები მაჰმადიანობას დაშორონ", თითქოს ქართველობა, ან რომელიმე ქართული საზოგადოებრივი მიმდინარეობა, ან რომელიმე ჯგუფი, ასეთ რასმე ეტანებოდეს ან ესწრაფვოდეს!

რა უფლებით უნდა დაიკისროს „აჩიკ-სოზმა" კავკასიის თათრებს სარწმუნოებრივი კონტროლის უფლება აჭარლებსა და სხვა ქართველ მაჰმადიანებზე? საიდან წარმოსდგება ამ ახირებული პრეტენზიის ფსიხოლოგია? რას იტყოდა „აჩიკ-სოზი", რომ მაჰმადიან ქართველებს და მათს ორგანოს ასეთივე კონტროლისა და სარწმუნოებრივ უფროსობის პრეტენზია განეცხადებია კავკასიის თათრების მიმართ?!

ქართველი მაჰმადიანი, მაჰმადიან ქართველად უნდა დარჩეს და თათარი-მაჰმადიანი კიდევ მაჰმადიან თათრად. სამაჰმადიანო საქართველოში, თვის რჯულის შენახვა, თვის მაჰმადიანობის დაცვა, თვით მაჰმადიან ქართველების საქმეა. თავის სარწმუნოებას თვით ესენი გაუძღვებიან. მაჰმადიან-ქართველთა ინტელიგენცია, ქართველი განათლებული მოლები და ხოჯები და მთელი ქართველ მაჰმადიანთა მასა როგორც წარსულში, ისე მომავალშიც დაიცვენ მაჰმადის რჯულს და მასთან განუყრელად იქნიან. საიდან წარმოსდგება „აჩიკ-სოზის" უნდობლობა მაჰმადიან ქართველების სარწმუნოებრივ სიმტკიცისადმი? მაჰმადიანი ქართველებიდან გამოსული შეიხ-ულ-ისლამები, არტაანელი ხერხეულიძე, აჭარელი ბარათაშვილები, იმერხეველი ლეონიძე, განა სახელ განთქმულნი არ იყვნენ რჯულის ცოდნითა და მის სიწმიდის დაცვით? ის ხალხი, რომელსაც ასეთი შეიხ-ულ-ისლამები ჰყავდა, თავის სარწმუნოებას სხვის უკონტროლოდ დაიცავს.

თუ „აჩიკ-სოზსა" და მის მიმდევრებს მარტო რჯულის საკითხი აინტერესებთ, ამ რჯულს მაჰმადიანი ქართველები თავისთვის უკეთ მოითხოვენ და თვით ამ რჯულის ძალით სხვა ეროვნების მაჰმადიანებთანაც სარწმუნოებრივ ურთიერთობას დაიცავენ. ხოლო, ეროვნულ კულტურულად მაჰმადიანი ქართველობა და ქრისტიანი ქართველობა ერთარსად უნდა იქცნენ და ერთად ჩაებან საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ აღორძინების საქმეში.

უნდა უარყოფილ იქმნას რჯულის საფუძველზე ვისიმე ეროვნული გადაგვარება, ან ეროვნების საფუძველზე ვისიმე გადარჯულება. მთელი ჩვენი წარსული და დღევანდელი საქმიანობაც ამის მოწმეა. კავკასიის თათრობაც ამ გზას უნდა დაადგეს და მაშინ საერთო მიზნისთვის თანამშრომლობა საფუძვლიანი და ნაყოფიერი იქნება.

მსოფლიო ომი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. გერმანეთის ტყვეობაში მყოფნი რუსები თავიანთ მდგომარეობაზე საშინელ ამბებს იწერებიან: ,,ჩვენ რუსები გერმანელთა ტყვეობაში მყოფნი ცრემლით ვევედრებით ჩვენ სამშობლოს, ნუ დაივიწყებს თავის შვილები, რომელნიც დიდ შევიწროვებას განიცდიან გერმანელთა ტყვეობაში, სადაც ისინი ტვირთულობენ ყოველივე დამცირებას, შიმშილს, ცემას, გახურებულ ფეჩთან მიყუდებას, ბოძზე მიკვრას, ჩამოკიდებას, ძაღლების მისევას და სხვა. ნუ დაგვივიწყებთ, მოგვაწოდეთ პური, შიმშილით ნუ დაგვხოცავთ, ჩვენ სინდისიერად ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას მამულისადმი სამშობლო რუსეთო ნუ დაივიწყებ შენ შვილებს შენ ლოცვებში.''

რიგა. ბრძოლის ველზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა,

პარიზი. სომთან სამახრეთით არტილერიის სროლა გაცხოველდა. არგონებში ჩვენ დავეცით გერმანელთა თხრილებს და წინაც წავიწიეთ. 30 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. სხვა ადგილებზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

გავრი. გერმანელებმა ხელმეორეთ მოიტანეს იერიში ბრძოლის პირზე. მტრის ძლიერი რაზმი თავს დაგვესხა დიკსმიუდეს სამხრეთით და ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლით გაანადგურეს ადგილები, ჩვენ ნაინც ისინი უკუვაქციეთ. 12 კაცი ცოცხლათ ჩაგვბარდა ტყვეთ. ახლო-მახლო ადგილები სულ დახოცილთა გვამებითაა სავსე.

სოლუნი. აქაურ ძრძოლის პირზე ჩვენი საქმე გამოკეთდა. სერბიელები მზად არიან, თუ რომ მათმა საათმა დაკრა, სრულებით შეეწირონ სამშობლოს.

ეგვიპტე. სინას ნახევარ კუნძული მტრისგან თავისუფალია.

ვაშინგტონი. სენატმა 78 ხმით 5 წინაღმდეგ მიიღო გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა.

სტოკჰოლმი. ვენიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკას ავსტრიასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

პეტროგრადი. რუმინიის მემკვიდრე პრინცი კარლოსი იყო მათ იმპერატორობითი უდიდებულესობასთან, სადაც საუზმეზე იქმნა მიწვეული და შემდეგ თავისი ამალით მოსკოვისკენ გაემგზავრა რუმინიაში წასასვლელად.

ბერნი. გერმანიის მთავრობის შუამდგომლობით შვეიცარიამ იკისრა გერმანელთა ინტერესების დაცვა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონი. ინგლისმა და საფრანგეთმა უზრუნველჰყვეს ვაშინგტონში ყოფილ გერმანიის ელჩის გრაფ ბერნეტორფის და საელჩოს შემადგენლობის უხიფათოდ და უშიშრად დაბრუნება გერმანიაში.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრს კამერჰერკატენს უმაღლესათ ებრძანა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობის უფროსათ ყოფნა.

პეტროგრადი. მოხთა ქალაქის საბჭოს წევრთა კრება, სადაც მონაწილეობა მიიღო მოკავშირეთა წარმომადგენლებმა. წარმოითქვა მრავალი საინტერესო სიტყვები. სხვათა შორის ქალაქის თავმა აღნიშნა, რომ ოსმალნი ყოველგვარ ეჭვს გარეშე განდევნილი უნდა იქნან ევროპიდან. საფრანგეთის მინისტრმა დუმერგმაც იგივე აღნიშნა თავის სიტყვაში და ხაზგასმით მოიხსენია ის გარემოება, რომ კონსტანტინოპოლი რუსეთის ქალაქი უნდა შეიქნეს. (ილაპარაკეს სხვებმაც. ორატორებს დიდის ოვაციით შეხვდენ.

ახალი ამბავი.

✦ **4 თებერვალს** ქალაქის თეატრში, დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების საშველებათა გასაძლიერებლათ წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი პიესა „ოტელლო" ნ. ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით.

✦ **ქუთაისის** ვექილებს სოხუმის ვექილებიდან მოუვიდა დეპეშა, რომლითაც ულოცავენ ხელთუფლიშვილის წევრად გაყვანას მომავალ ვექილთა საბჭოში.

✦ **ქუთ.** დრამატიულმა საზოგადოებამ დააკმაყოფილა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. თხოვნა, თეატრში წარმოდგენების დროს საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნების ყიდვის შესახებ. წიგნების გაყიდვა უკვე მოეწყო და საქმეც კარგათ მიდის.

✦ **რაჭის** (ქუთ. მაზრა) მცხოვრებთ გუბერნატორმა ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „შეგნება"

✦ **ქუთ.** ფარმაცევტთა საზოგადოებამ უკვე წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს წესდების პროექტი და შუამდგომლობს, რათა იგი დამტკიცებულ იქნას.

✦ **28 იანვარს,** ქალ. სანიტარულმა კომისიამ ოქმი შეუდგინა უსუფთაობისათვის ივანოვის ქუჩაზე: მარია ხარაზოვს, გიორგი კაუხჩევს, მეიერ რიჟინაშვილს, აპოლონ ჭიჭინაძეს და ვარლამ ჭილაძეს. პუშკინის ქუჩაზე, პორფილე სინაურიძეს.

✦ **ქალაქის** გამგეობიდან შაქრის ბარათები ამიერიდან შემდეგ ნაირათ დარიგდება: ვისაც ბარათი არ მიუღია მან უნდა წარმოადგინოს პოლიციის მოწმობა, რომ ქუთაისის მცხოვრებია და ან რამდენი სულია. შემდეგ აღინიშნება სია ასეთი პირების, გაიშინჯება ქაღალდებში მიღებული აქვთ თუ არა და შემდეგ მიეცემათ ბარათები

✦ **ქ. შ. წ. კით. გამ საზ. ქუთაისის** განყოფილებამ, წელს ყველა მის ხელქვეით სამკითხველოებს შეუწყვიტა გაზეთის საზოგადოების ხარჯით გზავნა.

შენიშვნა.

გაზეთ „საქართველოს" მე 21 №-ში მოთავსებულია შენიშვნა, რომელშიაც უარყოფილია „სახალ. გაზეთში" მოთავსებული ყალბი ცნობები „სამშობლოს შესახებ.

„სახალხო გაზეთი" და „ჩვენი მეგობარი" თავისებურ საშვალებებს ხმარობენ, რათა ჩვენი გაზეთი დაამცირონ. ხან სწერენ „სამშობლო" ძლიერ მცირე რიცხვი იბეჭდებაო (300!!), ხან „სამშობლო" ია ეკალაძის საშინაო ფურცელიაო, ხან ხოშტარიამ რედაქციას 10000 მან. გამოუგზავნაო და სხვ...

ჩვენ ასეთს მათ საქციელს მივეჩვიეთ და პასუხს არ ვაძლევთ ამ ლაზღანდარა მწერლებს, რომელთაც უკეთესი რისიმე თქმა არ ძალუძთ; სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ზოგი კეთილ-სინდისიერი თანამშრომელი „სახალხო გაზეთისა" და „ჩვენი მეგობრისა", თანა მოკალმეთა სიბინძურეს ურიგდება.

რედაქცია.

ქრონიკა.

თბილისი. პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდენ პარ. გოთუა და ნ. წვერავა, თან ჩამოიტანეს ფინანსთა მინისტრის მიერ ხელ მოწერილი და დამტკიცებული წესდება „ამიერ კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკისა" 29 იანვარს კერძო თათბირი ექნებათ ამ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტს და აქციონერებს. მარტის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს ბანკის აქციონერების საზოგადო კრება, რომელიც აირჩევს საბჭოს და გამგეობას და ბანკიც მოქმედებას დაიწყებს.

— კ. თაყაიშვილს დაუწერია ოთხ მოქმედებიანი დრამა—ლეგენდა „სამშობლოს ასული".

— ქართულ ძველ საეკლესიო ფრესკების გამოფენა 25 იანვრამდე ნახა 3250 კაცმა და შემოვიდა ორი ათას მანეთამდე.

— **მცხეთა.** საზოგადოება შეკავშირდა და 16 იანვარს გახსნა კოოპერატიული დუქანი. კოოპერატივში 500 კაცმა ჩაეწერა. აირჩიეს გამგეობა.

⁂

(ძველი რვეულიდან.)

ნეტავი ჩემს გულს ზღვად ქცეულს
ხანდი-ხან ჩამოხედავდე,
განა შენ ღმერთი არა გწამს,
მე რომ ვერასა ვბედავდე?!
რად დახვალ ჩემგან შორი-შორს
დამფრთხალი ირემივითა?..
ე, ათქორილი გულ მკერდი
სავსე ხომ არ გაქვს თივითა?!
თვალები, ცქერით მოღლილი,
როდემდის უნდა გელოდეს?
შენ რომ სხივებით დადიხარ,
ჩემს გულში უნდა ბნელოდეს?!
თავს მოვიკლავდი, ლამაზო
მზისა რო არა მრცხვენოდეს...
ნეტავი ისე არ მომკლა
გული არ შემოგფრენოდეს!..

⁂

კიდევ კარგი გაქვს ღიმილი
წარსულ დღეთ მოსაგონარი;
შენ ჩემზედ უფრო გიყობდი,
მეც ვიყავ დაულონარი.
დღეს კი შენ დაღვრემილიხარ,
მე ისევ ისე მცინარი,
ლოყაზედ კიდევ გაკოცებ
თუ სადმე გნახე მძინარი...

შიო მღვიმელი.

ხაშური. ჩვენი დაბა, რომელიც გორის მაზრაში ერთ საუკეთესო კულტურულ ცენტრს უნდა წარმოადგენდეს, დიდ უკულტურობის მორევშია ჩაფლული. გონებრივ სიფაქიზის მაგიერ, გონების სიჩლუნგეშია. აქ გავრცელდა სხვა და სხვანაირი ცრუმორწმუნეობა. ხელიდან ხელში გადადის რაღაც ქაღალდები, რომელიც ვითომ იერუსალიმში-ციდამ წამოსულა. ქაღალდები მოუწოდებს ხალხს სარწმუნოების სიმტკიცისკენ, ძველ ზნე ჩვეულების დაცვისკენ და მოძღვრის პატივისცემისკენ.

ჩხარი. ადგილობრივ ქართველ და სომეხ ინტელიგენტებს განზრახვა აქვთ წარმოდგენა გამართონ.

† ალექსი ჭიჭინაძე

დეპეშამ გვაცნობა ფრიად სამწუხარო ამბავი: თფილისში უეცრად გარდაცვლილა თფილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი ალექსი ჭიჭინაძე. განსვენებულს საზოგადოების წინაშე მიუძღვის დიდი ღვაწლი. იგი საზოგადო მოღვაწე იყო. მას არ უღალატია თავის რწმენისთვის, რომ საქართველო მიაღწევს თავის მიზანს, რისთვისაც მან მიზნათ დაისახა მოზარდი ახალთაობის აღზრდა. განსვენებული, 70 წლის იქნებოდა. გვახსოვს იგი ახალგაზდა, როდესაც მან პირველ დაწყებითი შკოლა გახსნა ქუთაისში; იგი დიდი აღტაცებით ეპყრობოდა ბავშვებს არა თუ მარტო სწავლის დროს სკოლაში, არამედ სკოლის გარეშეც დიდ ყურადღებას აქცევდა მათ ზნეობრივ აღზრდას. თავის სიცოცხლე მან სრულიად შესწირა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, ჯერ ქუთაისში და მერე თბილისში. განსვენებულმა მთელი თავის სიცოცხლე უმწიკვლოთ გაატარა და თავის მუდმივი პატიოსნური შრომით და მამულიშვილური გრძნობით თავის მრავალ-ტანჯული სამშობლოს ერთ საუკეთესო შვილად ირიცხებოდა.

სამუდამოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო კაცო და დაუცხრომელო მუშაკო.

ი. ი—ლი.

განსვენებულის ვრცელ ნეკროლოგს რადგან დღეს ვერ მოვასწარით, შემდეგ ნუმერში დავსტამბავთ.

რედაქცია.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ვანი. 5 იანვარს მოხდა ვანის მომხმარებელი საზოგადოება „იმედის" წევრთა საზოგადო კრება, კრებას დაესწრო 65 წევრი. გამგეობამ აცნობა საზოგადოებას საქმის მდგომარეობა დღიდან წარმოების დაწყებისა. საზოგადოებამ დაადგინა დივიდენდი განაწილებული იქმნას შემდეგი სახით: განსაზღვრული პროცენტი გადაიდოს სათადარიგო თანხის შესავსებათ, ასი მანეთი უძრავ ქონების ფონდის შასაქმნელად და ნაწილი კი სამკითხველოს სასარგებლოდ, მუშათა გაზეთის ფონდისათვის და კოოპერატიულ ლიტერატურის გასავრცელებლად.

— **სოფ. ახკანა.** 8 იანვარს სკოლის დარბაზში მოხდა, [illegible] მომხმარებელ საზოგადოების „სარგებლობის" წევრთა საზოგადო წლიური კრება. განხილული იყო მთელი წლის ანგარიში. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა, დივიდენდი დაანაწილა და გამგეობას თავის მუყაით და ნაყოფიერ მუშაობისთვის გულითადი მადლობა გამოუცხადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემო აღნიშნულ კოოპერატივში მთელი წლის განმავლობაში საქონელი იყიდებოდა შედარებით ნაკლებ ფასებში და ანგარიშის წარმოებაც სასურველად მიმდინარეობს.

— **სოფ. ჩანჩეთი.** მოხდა აქაურ მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომიის" წევრთა კრება. დაესწრო 120 წევრი. განხილული იქმნა ანგარიში. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა მოხსენება და დიდი მადლობა მიუძღვნა გამგეობას, სარევიზიო კომისიას და ნოქარს. კრებას მოხსენდა სხვა საკითხებიც და საზოგადოებამ გამოიტანა შესაფერი დადგენილება.

მევენახეთა საყურადღებოთ.

1917 წლის გაზაფხულზე საქარის სანერგე შეუდგება **ვაზის მყნობას** მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც წინდაწინვე დაიკვეთავს; ამისთვის ვისაც სურს ნამყენი ვაზის შეძენა, იმან მიმდინარე წლის 15 მარტამდ**ის** უნდა განაცხადოს, რომ მისთვის დამზადებული იქმნეს ამოდენი და ამოდენი ამა თუ იმ ვაზის ჯიშის ნამყენი. ღირებულების მეხუთედი ფასი ახლავე უნდა იქნეს ბეთ წარმოდგენილი. ათასი ნამყენი რა ვაზის ჯიშიც უნდა იქნეს— **ღირება 50 მან.** უმეტესი ყურადღება არის მიქცეული ადგილობრივი ვაზის ჯიშის გავრცელებაზე. სანერგე ამყნობს საგობე ვაზის ჯიშებსაც. საძირეთ უმეტესათ ხმარობს ამერიკა ამერიკულ გიბრიდებს—3309, 101^{14}; ზოგიერთ ალაგებისთვის რუპესტრის დიულოს. ნამყენი ვაზის დამკვეთელმა საჭიროა მოგვაწოდოს მოკლე აღწერილობა იმ ალაგისა, სადაც მას სურს ვაზის გაშენება: რა მოყვანილობა აქვს ალაგს, ფერდობა, რა მხრით არის დაქანებული, ალაგი ვაკეა თუ ციცაბო, მიწა როგორია —კირნარი, ქვა-ფილტვა, შავი მიწა, თირი, წაწითალო თუ ეწერი მიწა, მაგარი, ქვიანი, ნესტიანი, მშრალი თუ როგორი. ამ გვარი ცნობა მოგვცემს ვაზის ჯიშის შერჩევის საშვალებას. მისამართი: დაბა ყვირილა, საქარის სანერგის გამგეს.

უფროსი სპეციალისტი კ. ბერეკაშვილი.

მასწავლებელთა დამხ. საზოგადოება.

შარშან დაარსდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება. ხსენებულ საზოგადოებას მეტათ თვალსაჩინო და დიადი მიზანი აქვს დასახული. მან ნივთიერი, ზნეობრივი თუ გონებრივი დახმარება უნდა გაუწიოს ძლიერ ცუდ პირობებში მყოფ სახალხო მასწავლებელთ. უკანასკნელთა მნიშვნელობა ერთობ დიდია ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ კეთილი მიზნების განხორციელებას ბორკავს მათი პირადი ცხოვრების აუტანელი პირობები. საშვალებათა აღმოსაჩენად საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოწეს-რიგება შეიქნა საჭირო. მართალია, ჯერ-ჯერობით საყურადღებო პრაქტიკული ნაბიჯები არ გადუდგამს ხსენებულ საზოგადოებას, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმაში იგი საჭიროებს ჩვენს მხურვალე და აქტიურ თანაგრძნობას. 4 თებერვლისათვის განზრახული აქვთ წარმოდგენის გამართვა თეატრში. წარმოდგენილი იქნება „ოტელლო", ნიჭიერი მსახიობის ალ. იმედაშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით. ღრმად დარწმუნებული ვართ, ჩვენი თეატრის ხშირი სტუმრები, ამ წარმოდგენასაც განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობიან და ხელს შეუწყობენ ხსენებულ საზოგადოებას, ნივთიერი თუ სხვაგვარი დახმარების საშვალებით გააფართოვოს თვისი მოქმედება.

კ—ი.

წერ. რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

პარასკევს, იანვრის 13-ს, კომერციულ სასწავლებელში გაიმართა საბავშო სლიტერატურო საღამო, რომელიც შესდგებოდა სამი ნაწილიდან: ქართულ—რუსული ლექსების კითხვა, მუსიკა-სიმღერა და კინემატოგრაფიული სურათები. ბავშვებს საახალწლო საჩუქრები და ურიგდათ. დაესწრენ, გარდა მოწაფეებსა და მასწავლებლებისა სასწავლებლის სამზრუნველოს კომიტეტის წევრები. ულრმეს მადლობას ვსწირავთ ყველას მათ, ვინც დაგვეხმარა ამ საღამოს მოწყობაში პიანინოზე დაკვრით, როიალზე და პიანინოზე აკომპანიმენტით და სიმღერით.

სასწ. პედაგოგიური კომიტეტი

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი ამხ. „სამშობლო"

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა